

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა №4

ქ. თბილისი

2018 წლის 14 მაისი

სხდომას ესწრებოდნენ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები: 1. თოდუა ნუგზარი 2. გოგინავა უშანგი 3. თუთბერიძე ბექანი 4. მაჭავარიანი ლია 5. გეგეჭკორი არნოლდი 6. ხაჩიძე მანანა 7. სამსონია შოთა 8. თოდუა ნონა 9. კვირიკაშვილი ბახვა 10. ონიანი თამარი 11. მარველაშვილი ვლადიმერი 12. ქიტუაშვილი თინა 13. ხოდელი ნოდარი 14. ჩხაიძე ზურაბი 15. წერეთელი მარი 16. შამილიშვილი მანანა 17. ტუკვაძე ავთანდილი 18. ყვანია ირინე 19. ჩახუნაშვილი ნინო 20. თოფურია სალომე 21. ლორია კახაბერი 22. გორდემიანი ლევანი 23. გელოვანი ნანი 24. ბრაჭული ირაკლი 25. ოთხმეზური გიორგი 26. პაიჭაძე თამარი 27. შარაბიძე თამარი 28. კეყერაშვილი შოთა 29. მურღულია ირაკლი 30. გაიპარაშვილი ზურაბი 31. ღარიბაშვილი ირაკლი 32. სუმბაძე ციური 33. ქადეიშვილი თორნიკე 34. იოსელიანი ხათუნა 35. ხეცურიანი ნათელა 36. ხუციშვილი მარინე 37. ნემსაძე ადა 38. რუხაია მიხეილი 39. ჯობავა თამარი (დანართი 1)

სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრები: 1. შარვაშიძე გიორგი 2. ღვედაშვილი გიორგი 3. კერესელიძე დავითი 4. ფურთუხია ომარი 5. ხარშილაძე ირმა 6. გონაშვილი ვასილი 7. ქურდაძე ირინე 8. სანაძე რუსუდანი 9. ქეტიშვილი ანასტასია 10. მინდორაშვილი მარინე 11. მექვაბიშვილი ელგუჯა 12. ბერძენიშვილი ამირანი 13. კუხიანიძე ალექსანდრე 14. მაისაშვილი ხათუნა 15. ყულიჯანაშვილი აკაკი 16. ნადირაძე ქეთევანი 17. ოკრიბელაშვილი ნინო 18. იმნაძე პაატა 19. ლობჟუანიძე გია 20. შავლაყაძე ნუგზარი 21. ამირანაშვილი ავთანდილი 22. ზაუტაშვილი მარინე 23. ცაგარელი ზურაბი 24. ხუსკივაძე მამუკა 25. ცინცაძე ნოდარი 26. მერკვილაძე დავითი 27. კვინიკაძე მურმანი 28. ფერაძე გოჩა 29. ავაზაშვილი ნიკოლოზი (დანართი 2)

დღის წესრიგი:

1. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე დამტკიცება
2. სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების დამტკიცება

3. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113/2018 დადგენილების დამტკიცება

4. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №114/2018 დადგენილების დამტკიცება

5. „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №115/2018 დადგენილების დამტკიცება

დღის წესრიგი დამტკიცდა ერთხმად.

1. ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე აკადემიური საბჭოს მიერ შერჩეულმა კანდიდატმა, ირმა გრძელიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის კონცეფცია და სამუშაო გეგმა. ასევე, ისაუბრა ავტორიზაციისა და აკრედიტაციის პროცესზე, რომელშიც უნივერსიტეტი იმყოფება.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვეს აკადემიური საბჭოს წევრებმა - ნოდარ ცინცაძემ და ხათუნა მაისაშვილმა, ასევე, წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, არნოლდ გეგეჭკორმა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს ირმა გრძელიძე სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის ხარისხის უზრუნველყოფის სამსახურის უფროსის თანამდებობაზე.

2. წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ვლადიმერ მარგველაშვილმა წარმოადგინა მედიცინის ფაკულტეტის დებულების ცვლილებების პროექტი. მისი განმარტებით, დებულებაში ცვლილებებით იქმნება ახალი სტრუქტურული ერთეულები, ასევე, დეპარტამენტები ჩანაცვლდება კათედრებით, ხოლო კათედრები გაერთიანდებიან დეპარტამენტებში.

საკითხთან დაკავშირებით აზრი გამოთქვა წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ბეჟან თუთბერიძემ.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის დებულების ცვლილებები (დანართი 3).

3. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომის მონაწილეებს გააცნო „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113/2018 დადგენილება. მისი განმარტებით, აფილირების მოქმედი წესი იცვლება. ახალი დადგენილებით განისაზღვრება ერთობლივი კვლევების ჩათვლის წესი, ასევე, იხსნება აფილირებული აკადემიური პერსონალისთვის სხვა საგანამანათლებლო დაწესებულებაში არაუმეტეს 6 საათიანი დატვირთვის თაობაზე შეზღუდვა.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 39

წინააღმდეგი: 0

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) ათელირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113/2018 დადგენილება (დანართი 4)

4-5. პერსონალის მართვის დეპარტამენტის უფროსმა, ნათელა ლაცაბიძემ წარმომადგენლობით საბჭოს გააცნო აკადემიური საბჭოს 2 დადგენილება, რომელიც ითვალისწინებს ცვლილებებს უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის ანაზღაურების წესში. აკადემიური პერსონალის გარკვეულ კატეგორიას, რომელსაც აქამდე ეკრძალებოდა სხვა საგანმანათლებლო დაწესებულებაში სალექციო დატვირთვა, შეეძლება ლექციების წაკითხვა შესაბამისი პირობების დაცვით, რექტორის თანხმობის საფუძველზე.

წარმომადგენლობითი საბჭოს წევრმა, ლევან გორდემიანმა განაცხადა, რომ აკადემიური პერსონალის კატეგორიებად დაყოფა საერთოდ მიუღებელია და ეს იწვევს გაურკვეველი სახელფასო პოლიტიკის ჩამოყალიბებას. მისასალმებელია, რომ საკითხების ნაწილი სწორდება, თუმცა, ვინაიდან ამ დადგენილების არსებობა პრინციპულად მიუღებელია, ცვლილებებისთვის მხარის დაჭერა მისი მხრიდან ალოგიკური იქნება.

ა) თავდაპირველად კენჭი ეყარა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014

დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №114/2018 დადგენილებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ლევან გორდემიანმა.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №114/2018 დადგენილება (დანართი 5)

ბ) შემდეგ კენჭი ეყარა „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №115/2018 დადგენილებას.

საკითხთან დაკავშირებით გაიმართა კენჭისყრა, რომელშიც მონაწილეობდნენ მხოლოდ წარმომადგენლობითი საბჭოს წევრები:

მომხრე: 38

წინააღმდეგი: 0

კენჭისყრაში მონაწილეობა არ მიიღო ლევან გორდემიანმა.

მიღებული გადაწყვეტილება: დამტკიცდეს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №115/2018 დადგენილება (დანართი 6)

წარმომადგენლობითი საბჭოს სპიკერი:

კახაბერ ლორია

წარმომადგენლობითი საბჭოს მდივანი:

დიმიტრი გეგენავა

დანართი 1

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომა

2018 წლის 14 მაისი

ეკონომიკისა და ბიზნესის ფაკულტეტი

პროფესორები:

- შაბურიშვილი შოთა
- თოდუა ნუგზარი
- აბესაძე ნინო
- ბარბაქაძე ხათუნა


სტუდენტები:

- სოსიაშვილი თათია
- ბერუაშვილი ანზორი
- გაგელიძე ტარიელი
- შვანგირაძე მათე
- შუბითიძე ვლადიმერი

ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- გოგინავა უშანგი
- თუთბერიძე ბეჟანი
- მაჭავარიანი ლია
- გეგეჭკორი არნოლდი
- ხაჩიძე მანანა
- სამსონია შოთა



სტუდენტები:

- ბახტურიძე შაატა
- ბასილაია ანანო
- კვირიკაშვილი ბაჩანა

იურიდიული ფაკულტეტი

პროფესორები:

- თუმანიშვილი გიორგი
- ცისკაძე მარიამი
- თოღუა ნონა
- გარიშვილი მარინა



სტუდენტები:

- კვირიკაშვილი ბახვა
- ონიანი თამარი
- ოქიტაშვილი გიორგი
- ართქმელაძე თორნიკე



მედიცინის ფაკულტეტი

პროფესორები:

- მარგველაშვილი ვლადიმერი
- ქიტუაშვილი თინა
- ხოდელი ნოდარი
- ჩხაიძე ზურაბ




სტუდენტები:

- თამარ ჩხაიძე

სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- წერეთელი მარი
- შამილიშვილი მანანა
- ტუკვაძე ავთანდილი



სტუდენტები:

- ლორთქიფანიძე ლევანი
- საბაური შალვა
- შვეარდნაძე თორნიკე

ფსიქოლოგიისა და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- უვანია ირინე
- ჩახუნაშვილი ნინო

სტუდენტები:

- დადუშელიანი ბექა
- თოფურია სალომე

ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტი

პროფესორები:

- ლორია კახაბერი
- გორდემიანი ლევანი
- ველოვანი ნანი
- თაბუაშვილი აპოლონი
- ბრაჭული ირაკლი
- ოთხმეზური გიორგი

- პაიჭაძე თამარი
- შარაბიძე თამარი

ა. შარაბიძე
ა. შარაბიძე

სტუდენტები:

- ჯებაშვილი ნანა
- მინდიაშვილი თეონა
- სამხარაძე ლაშა
- კეყერაშვილი შოთა
- მურღულია ირაკლი

წყაუაშვილი
ი. მურღულია

თსუ-ს ბიბლიოთეკის ხელმძღვანელი

- გაიპარაშვილი ზურაბი

ზურაბი

ეროვნული სამეცნიერო ბიბლიოთეკის დირექტორი

- ღარიბაშვილი ირაკლი

ი. ღარიბაშვილი

ალექსანდრე ნათიშვილის მორფოლოგიის ინსტიტუტი

- სუმბაძე ციური

ციური

ალექსანდრე ჯანელიძის გეოლოგიის ინსტიტუტი

- ბაშელაშვილი ლევანი

ანდრია რაზმაძის მათემატიკის ინსტიტუტი

- ქაღვიშვილი თორნიკე

თორნიკე

არნოლდ ჩიქობავას სახელობის ენათმეცნიერების ინსტიტუტი

ელეფთერ ანდრონიკაშვილის ფიზიკის ინსტიტუტი

- ნაქაძე სვერიანი

ვახუშტი ბაგრატიონის გეოგრაფიის ინსტიტუტი

- ხომერიკი გიორგი

თინათინ წერეთლის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტი

- რუსიაშვილი გიორგი

ივანე ჯავახიშვილის ისტორიისა და ეთნოლოგიის ინსტიტუტი

- იოსელიანი ხათუნა



კავკასიის ალექსანდრე თვალჭრელიძის მინერალური ნედლეულის ინსტიტუტი

- ახალბედაშვილი ლალი

მიხეილ ნოდუას სახელობის გეოფიზიკის ინსტიტუტი

- ალანია ვიქტორი

ჰაატა გუგუშვილის სახელობის ეკონომიკის ინსტიტუტი

პეტრე მელიქიშვილის ფიზიკური და ორგანული ქიმიის ინსტიტუტი

- ხეცურიანი ნათელა



რაფიელ აგლაძის არაორგანული ქიმიისა და ელექტროქიმიის ინსტიტუტი

- ხუციშვილი მარინე



შოთა რუსთაველის ქართული ლიტერატურის ინსტიტუტი

- ნემსაძე ადა

ა. ანუ

ი. ვეკუას სახელობის გამოყენებითი მათემატიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი

- მიხეილ რუხაია











მ. რ.











მაღალი ენერგიების ფიზიკის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტი










- თამარ ჯობავა

თ. ჯობავა

სსიპ ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
წარმომადგენლობითი საბჭოს სხდომაზე დამსწრე აკადემიური საბჭოს წევრების სია
2018 წლის 14 მაისი

- გიორგი შარვაშიძე 
- გიორგი ღვედაშვილი 
- დავით კერესელიძე 
- ომარ ფურთუხია 
- ირმა ხარშილაძე 
- ვასილ გონაშვილი 
- ირინე ქურდაძე 
- რუსუდან სანაძე 
- ანასტასია ქიტიაშვილი 
- მაია მესტვირიშვილი
- მარინე მინდორაშვილი 
- ავთანდილ სილაგაძე

- ელგუჯა მექვაბიშვილი 
- ამირან ბერძენიშვილი 
- ალექსანდრე კუხიანიძე 
- ხათუნა მაისაშვილი 
- დავით გოცირიძე
- აკაკი ყულიჩანიშვილი 
- ქეთევან ნადირაძე 
- ნინო ოკრიბელაშვილი 
- შაატა იმნაძე 
- გია ლობჯანიძე 
- ერეკლე გამყრელიძე
- ნუგზარ შავლაყაძე 
- თამაზ ყარალაშვილი

- ავთანდილ ამირანაშვილი 
- გაგა ლომიძე
- მარინე ბაუტაშვილი 
- ზურაბ ცაგარელი 
- მედეა ლლონტი
- მამუკა ხუსკივაძე 
- ნოდარ ცინცაძე 
- დავით მერკვილაძე 
- მურმან კვინიკაძე 
- ნათელა ანანიაშვილი
- გოჩა ფერაძე 
- რევაზ შანიძე
- ნიკოლოზ ავაზაშვილი 

სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

„უმაღლესი განათლების შესახებ“ საქართველოს კანონის 28-ე მუხლის „დ“ პუნქტის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის N135/6 ბრძანებით დამტკიცებული საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების მე-11 მუხლის პირველი პუნქტის „დ“ ქვეპუნქტის, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის მედიცინის ფაკულტეტის საბჭოს 2018 წლის 4 აპრილის გადაწყვეტილების საფუძველზე, შევიდეს ცვლილება სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობითი საბჭოს 2018 წლის 12 თებერვლის სხდომის ოქმით №1 დამტკიცებული მედიცინის ფაკულტეტის დებულებაში:

1. დებულების მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „ო“ ქვეპუნქტი ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით:

„ო) დეკანის წარდგინებით ამტკიცებს საატესტაციო კომისიას. ასევე, დეკანის წარდგინებით ნიშნავს სასწავლო-სამეცნიერო დეპარტამენტის ხელმძღვანელებს“.

2. დებულების მე-18 მუხლის მე-5 პუნქტი ჩამოყალიბდეს ახალი რედაქციით:

„5. ფაკულტეტის სასწავლო-სამეცნიერო სტრუქტურებია:

- ა) კლინიკური ანატომიისა და ოპერატიული ქირურგიის კათედრა;
- ბ) დერმატოვენეროლოგიის კათედრა;
- გ) შინაგან დაავადებათა პროპედევტიკისა და ლაბორატორიული დიაგნოსტიკის კათედრა;
- დ) შინაგან დაავადებათა კათედრა;
- ე) ინფექციურ დაავადებათა კათედრა;
- ვ) მეანობა-გინეკოლოგიის და რეპროდუქტოლოგიის კათედრა;
- ზ) ნევროლოგიის და ნეიროქირურგიის კათედრა;
- თ) ონკოლოგიის და პალიატიური მედიცინის კათედრა;
- ი) პათოლოგიისა და სასამართლო მედიცინის კათედრა;
- კ) პედიატრიის კათედრა;
- ლ) გადაუდებელი ქირურგიისა და კრიტიკული მედიცინის კათედრა;
- მ) ფარმაკოლოგიის კათედრა;
- ნ) ფსიქიატრიისა და სამედიცინო ფსიქოლოგიის კათედრა;

- ო) ზოგადი ქირურგიის კათედრა
- პ) კლინიკური ქირურგიისა კათედრა;
- ჟ) უროლოგიის კათედრა;
- რ) კლინიკური და კვლევითი უნარ-ჩვევების განვითარების კათედრა;
- ს) ოფთალმოლოგიის კათედრა;
- ტ) სამედიცინო რადიოლოგიის და ენდოსკოპიის კათედრა;
- უ) საზოგადოებრივი ჯანდაცვის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია: საზოგადოებრივი ჯანდაცვის და ეპიდემიოლოგიის კათედრა და სამედიცინო ეთიკის კათედრა
- ფ) სტომატოლოგიის დეპარტამენტი, რომლის შემადგენლობაშია: თერაპიული სტომატოლოგიის კათედრა, ბავშვთა სტომატოლოგიის კათედრა, ყბა-სახის ქირურგიის კათედრა, ორთოპედიული სტომატოლოგიის და იმპლანტოლოგიის კათედრა“.

3. დებულებას დაემატოს შემდეგი შინაარსის 32¹-მუხლი:

„მუხლი 32¹. ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურული ერთეული

ფაკულტეტის დამხმარე სამეცნიერო სტრუქტურულ ერთეულს წარმოადგენს არკადი ჯორბენაძის სახელობის კლინიკური პათოლოგიის სამეცნიერო პრაქტიკული ცენტრი, რომლის საქმიანობის მიზნები და წესი განისაზღვრება ფაკულტეტის საბჭოს მიერ დამტკიცებული დებულებით.

დადგენილება №113/2018

30 აპრილი, 2018

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების დამტკიცების შესახებ

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლის, 61-ე მუხლის პირველი, მე-3, მე-6 და მე-7 ნაწილების, საქართველოს ორგანული კანონის „საქართველოს შრომის კოდექსის“ მე-11 მუხლის მე-3 ნაწილის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული უფლებამოსილებიდან გამომდინარე, ამავე მუხლის პირველი პუნქტის „ნ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 27 აპრილის №8493/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. დამტკიცდეს:

- ა) სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები ([დანართი №1](#));
- ბ) შეთანხმება აფილირების შესახებ ([დანართი №2](#)).

2. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების

დამტკიცების შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 19 თებერვლის №64/2018 დადგენილება.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. დადგენილების შესრულებაზე კონტროლი დაევალოს უნივერსიტეტის პერსონალის მართვის დეპარტამენტსა და ფაკულტეტების დეკანებს.

5. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

6. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ.

თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

7. დადგენილება ძალაში შედის კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

**სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის
აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-
პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები**

მუხლი 1. აფილირების წესისა და პირობების მიზანი

1. სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის (შემდგომში - „უნივერსიტეტი“) აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესისა და პირობების (შემდგომში - „წესი“), ასევე ამ წესის მიღების სახით უნივერსიტეტის მიზანია:

ა) უნივერსიტეტის შიდასამართლებრივი აქტებისა და ამ აქტებით რეგულირებული სამართლებრივი ურთიერთობების საკანონმდებლო მოთხოვნებთან შესაბამისობაში მოყვანა;

ბ) უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიურ პერსონალს შორის ისეთი ურთიერთსასარგებლო შრომითსამართლებრივი ურთიერთობების ჩამოყალიბება, რომელიც ერთის მხრივ აკადემიურ პერსონალს მისცემს საშუალებას თავისი საგანმანათლებლო და სამეცნიერო საქმიანობა (ასევე შრომითი ხელშეკრულებითა და უნივერსიტეტის სხვა სამართლებრივი აქტებით განსაზღვრული სხვა სახის საქმიანობა, რომელიც გამომდინარეობს საგანმანათლებლო და სამეცნიერო ფუნქციის შესრულებიდან) აწარმოოს უნივერსიტეტის სახელით და მეორეს მხრივ უნივერსიტეტს მისცემს საშუალებას მაქსიმალურად და შესაძლებლობის ფარგლებში შეუზღუდავად შეუწყოს ხელი აკადემიურ პერსონალს თავისი შესაძლებლობების სრული რეალიზებისათვის.

მუხლი 2. აფილირება

1. უნივერსიტეტთან აკადემიური პერსონალის აფილირება გულისხმობს უნივერსიტეტსა და უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირს (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) შორის წერილობითი შეთანხმების გაფორმებას, რომლის თანახმადაც აკადემიური თანამდებობის პირი ადასტურებს თავის აფილირებას მხოლოდ უნივერსიტეტთან, უნივერსიტეტის სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და უნივერსიტეტში:

ა) ახორციელებს ძირითად საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს. ამასთან, უნივერსიტეტისა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებული კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგები ჩაეთვლება შესაბამის დაწესებულებასაც უნივერსიტეტის მიერ აფილირებულ აკადემიურ პერსონალთან გაფორმებული წერილობითი შეთანხმებით;

ბ) აქტიურად არის ჩართული უსდ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში;

გ) აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისთვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

მუხლი 3. აფილირებული აკადემიური პერსონალი

1. აფილირებულია უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობის მქონე პირი, ვისაც წინამდებარე წესით დადგენილი პირობების თანახმად, უნივერსიტეტთან წერილობით გაფორმებული აქვს აფილირების შეთანხმება (დანართი №2).

2. აფილირებული აკადემიური პერსონალი ვალდებულია, გარდა მასთან გაფორმებული შრომითსამართლებრივი ურთიერთობების მარეგულირებელი აქტებისა (შრომითი ხელშეკრულება, შეთანხმება და სხვ.) და უნივერსიტეტში მოქმედი შრომითსამართლებრივი აქტებით მისთვის განსაზღვრული შრომის პირობებისა, დაიცვას წინამდებარე წესის მოთხოვნები, რომელიც მისი შრომითი ხელშეკრულების შემადგენელი (განუყოფელი) ნაწილია.

3. პირი, რომელსაც სურს დაიკავოს უნივერსიტეტის აკადემიური თანამდებობა ვალდებულია გაეცნოს წინამდებარე წესის მოთხოვნებს და უფლებამოსილია აკადემიური თანამდებობის დასაკავებლად გამოცხადებულ კონკურსში მონაწილეობის მიღებისას (უნივერსიტეტის სხვა შესაბამის პირობებთან ერთად) წერილობით გამოხატოს თანხმობა ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან აფილირების შესახებ, რაც ძალაში შედის მის მიერ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის დაკავებისთანავე, ასევე წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია იმის შესახებ, რომ არ გააჩნია ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ.) სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან.

4. ამ მუხლის მე-3 პუნქტის მოთხოვნებიდან გამომდინარე, უნივერსიტეტი ვალდებულია ხელმისაწვდომი გახადოს წინამდებარე წესი საჯარო გაცნობისათვის და აკადემიური თანამდებობის დაკავების მსურველს გააცნოს მისი შინაარსი, ასევე უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას კანონმდებლობით დადგენილი წესით გადაამოწმოს ამ მუხლის მე-3 პუნქტით გათვალისწინებული პირის მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია.

5. აფილირებული აკადემიური პერსონალი გამონაკლის შემთხვევაში უფლებამოსილია, უნივერსიტეტის შესაბამისი ფაკულტეტის დეკანისა და უნივერსიტეტის ადმინისტრაციის ხელმძღვანელისათვის წერილობითი ცნობებით (რომელშიც მითითებული უნდა იყოს შესაბამისი უმაღლესი საგანმანათლებლო დაწესებულების დასახელება, ჩასატარებელი საათების რაოდენობა, საქმიანობის პერიოდი), განახორციელოს საგანმანათლებლო-სალექციო (მხოლოდ სალექციო, სასემინარო, პრაქტიკული, ლაბორატორიული) საქმიანობა სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებაში. იურიდიული, ეკონომიკისა და ბიზნესის, სოციალურ და პოლიტიკურ მეცნიერებათა, ფსიქოლოგიის და განათლების მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“

კატეგორიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისა და ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებათა და ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტების „ა“ და „ბ“ კატეგორიის პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორისათვის ამ პუნქტით დადგენილი უფლებამოსილების პირობები განისაზღვრება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს დადგენილებით.

მუხლი 4. გარდამავალი დებულებები

1. უნივერსიტეტის იმ აკადემიური პერსონალისათვის, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება, ამ ხელშეკრულების მოქმედების ვადის ამოწურვამდე დადგინდეს ამ მუხლით განსაზღვრული განსხვავებული პირობები.

2. უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება (პროფესორის, ასოცირებული პროფესორის, ასისტენტ-პროფესორის, ასისტენტის თანამდებობაზე) ვალდებულია განიხილოს ამ წესის პირველი - მე-3 მუხლებით განსაზღვრული პირობები და უფლებამოსილია უნივერსიტეტთან შეთანხმებით გააფორმოს აფილირების შეთანხმება წინამდებარე წესით განსაზღვრული პირობებით.

3. უნივერსიტეტის ის აკადემიური პერსონალი, რომელსაც გააჩნია ამ წესის ძალაში შესვლის დროისათვის მოქმედი შრომითი ხელშეკრულება და არ გააფორმებს უნივერსიტეტთან აფილირების ხელშეკრულებას, ვალდებულია უნივერსიტეტს წარმოუდგინოს სხვა უმაღლეს საგანმანათლებლო დაწესებულებასთან დადებული, ძალაში მყოფი ანალოგიური ხასიათის დოკუმენტი (ხელშეკრულება, შეთანხმება ან სხვ., ასეთის არსებობის შემთხვევაში) ან წერილობით დაადასტუროს ინფორმაცია ასეთი დოკუმენტის არარსებობის შესახებ.

შეთანხმება აფილირების შესახებ

ქ. თბილისი

„-----“ ----- 20 -- წელი

ერთი მხრივ, სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი (ქ. თბილისი, ი. ჭავჭავაძის გამზ. №1), წარმოდგენილი ადმინისტრაციის ხელმძღვანელის ----- სახით („დამსაქმებელი“), მეორე მხრივ, მოქალაქე ----- („დასაქმებული“) შეთანხმდნენ შემდეგზე:

1. დასაქმებული ----- ფაკულტეტის ----- აკადემიური პერსონალი (პროფესორი/ასოცირებული პროფესორი/ასისტენტ-პროფესორი/ასისტენტი)- ----- უნივერსიტეტსა და მას შორის გაფორმებული ----- შრომითი ხელშეკრულების მოქმედების ვადით, 20-- წლის ----- - დან 20 ----- მდე, აფილირებულია მხოლოდ სსიპ - ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტთან, თსუ-ს სახელით მონაწილეობს საზოგადოების განვითარებისა და ცოდნის გაზიარების პროცესებში და თსუ-ში: ახორციელებს ----- ძირითად ----- საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო საქმიანობას და მისი კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის შედეგები ეთვლება თსუ-ს;

დასაქმებული აწარმოებს კვლევით/სამეცნიერო საქმიანობას -

ა) დამსაქმებლის რესურსებზე დაფუძნებით;

ბ) დამსაქმებლისა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე დაფუძნებით (მიეთითოს შესაბამისი დაწესებულება/დაწესებულებები, დაკავებული თანამდებობების დაფიქსირებით).

აქტიურად არის ჩართული თსუ-ში საგანმანათლებლო, კვლევით/სამეცნიერო/შემოქმედებით/საშემსრულებლო და სხვა მნიშვნელოვან საკითხებთან დაკავშირებით გადაწყვეტილების მიღების პროცესებში; აქტიურად არის ჩართული სტუდენტებისათვის კონსულტაციების გაწევისა და კვლევითი/სამეცნიერო/შემოქმედებითი/საშემსრულებლო საქმიანობის ხელმძღვანელობის პროცესებში.

2. პასუხისმგებლობა თსუ აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №113/2018 დადგენილებით - „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი, ასისტენტი) აფილირების წესი და პირობები" - განსაზღვრული პირობების შეუსრულებლობაზე ეკისრება შესაბამის აკადემიურ პერსონალს.

3. თსუ-სთან აფილირებული აკადემიური პერსონალის (პროფესორის/ასოცირებული პროფესორის/ასისტენტ-პროფესორის/ასისტენტის) ----- აფილირების ვადის გასვლის შემდგომ აფილირების პერიოდში შექმნილი კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, რომელიც შექმნილია მხოლოდ დამსაქმებლის რესურსებზე

დაფუძნებით ეთვლება უნივერსიტეტს, ხოლო - კვლევითი/სამეცნიერო საქმიანობის შედეგები, რომელიც დაფუძნებულია დამსაქმებლისა და სხვა დაწესებულების კონსოლიდირებულ რესურსებზე, ეთვლება უნივერსიტეტს და შესაბამის დაწესებულებას.

4. შეთანხმება ძალაშია -----დან -----მდე.

შენიშვნა: მხარეების მიერ შეთანხმების გაფორმების მიზნებისათვის აუცილებელია დაფიქსირებული იქნას შეთანხმების პირველი პუნქტის „ა“ ან „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებული რომელიმე პირობა, შეთანხმების შინაარსშივე მისი მონიშვნით.

„დამსაქმებელი“

„დასაქმებული“

ივანე ჯავახიშვილის სახელობის

გვარი, სახელი-----

თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტი

ადმინისტრაციის ხელმძღვანელი

ხელმოწერა -----

დადგენილება №114/2018

30 აპრილი, 2018

„სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე

საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 52-ე მუხლის პირველი და მე-2 ნაწილების, 53-ე მუხლის პირველი და მე-3 ნაწილების, 54-ე მუხლის პირველი ნაწილის, 55-ე მუხლის, 56-ე მუხლის მე-2 ნაწილის, 57-ე მუხლისა და 63-ე მუხლის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის 2013 წლის 11 სექტემბრის №135/ნ ბრძანებით დამტკიცებული „საჯარო სამართლის იურიდიული პირის – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წესდების“ მე-8 მუხლის პირველი პუნქტის „პ“ ქვეპუნქტის, უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2014 წლის 14 ივლისის №73/2014 დადგენილებით დამტკიცებული აკადემიური საბჭოს რეგლამენტის მე-5 მუხლის პირველი პუნქტის „რ“ ქვეპუნქტის, თსუ-ს პერსონალის მართვის დეპარტამენტის 2018 წლის 27 აპრილის №8498/10 წერილისა და უნივერსიტეტის აკადემიური საბჭოს 2018 წლის 30 აპრილის №10 სხდომის ოქმის საფუძველზე,

აკადემიური საბჭო ადგენს:

1. შევიდეს ცვლილება „სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის აკადემიური პერსონალის (პროფესორი, ასოცირებული პროფესორი, ასისტენტ-პროფესორი) შრომის ანაზღაურების (თანამდებობრივი სარგო და დანამატი) ოდენობისა და პირობების დადგენის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2013 წლის 4 ოქტომბრის №112/2013 დადგენილებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის შესახებ“ აკადემიური საბჭოს 2014 წლის 29 დეკემბრის №122/2014 დადგენილებაში და მე-2 პუნქტით

დამტკიცებული №2, №3, №4, №5, №6 და №7 დანართები ჩამოყალიბდეს შემდეგი რედაქციით (დანართი №2, დანართი №3, დანართი №4, დანართი №5, დანართი №6, დანართი №7).

2. დადგენილების ყველასათვის ხელმისაწვდომ ადგილზე განთავსება დაევალოს უნივერსიტეტის კანცელარიას.

3. აღნიშნული გადაწყვეტილება დასამტკიცებლად წარედგინოს სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის წარმომადგენლობით საბჭოს.

4. წინამდებარე დადგენილება დაინტერესებული პირის მიერ შეიძლება გასაჩივრდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით ძალაში შესვლის დღიდან 1 თვის ვადაში ქ. თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (მისამართი: ქ. თბილისი, დავით აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კილომეტრი, №6).

5. დადგენილება ძალაში შევიდეს კანონმდებლობით დადგენილი წესით.

გიორგი შარვაშიძე

რექტორი

აკადემიური საბჭოს თავმჯდომარე

სსიპ – ივანე ჯავახიშვილის სახელობის თბილისის სახელმწიფო
უნივერსიტეტის ჰუმანიტარულ მეცნიერებათა ფაკულტეტის აკადემიური პერსონალის
თანამდებობრივი სარგო

1. „გ“ კატეგორიის აკადემიური პერსონალის თანამდებობრივი სარგო -

- ა) პროფესორი - თვეში 1150 ლარი;
- ბ) ასოცირებული პროფესორი - თვეში 920 ლარი;
- გ) ასისტენტ-პროფესორი - თვეში 700 ლარი.

2. პირველი პუნქტით გათვალისწინებული თანამდებობრივი სარგოს მიღების საფუძველს წარმოადგენს ქვემოთმოცემული სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვის და მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი საქმიანობის - სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვის შესრულება:

ა) სავალდებულო პედაგოგიური დატვირთვა - პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 4 საათი, ასოცირებული პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 6 საათი, ასისტენტ-პროფესორისათვის კვირაში არანაკლებ 8 საათი;

ბ) მინიმალური სავალდებულო სამეცნიერო-კვლევითი დატვირთვა, რომელიც შეიძლება დაგროვებული იქნას შემდეგი კომპონენტებისაგან აკადემიური თანამდებობების მიხედვით:

ბ.ა) პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური სამეცნიერო გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ

მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) – **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 2 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.ბ) ასოცირებული პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 5 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 5 წელიწადში ერთხელ მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ხელმძღვანელის/მენეჯერის/კოორდინატორის ან ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 3 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

კომპონენტი 8. ყოველ 2 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო-პოპულარულ ჟურნალში - **20 ქულა**.

ბ.გ) ასისტენტ-პროფესორი:

კომპონენტი 1. ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული დანართის 1.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **100 ქულა**;

კომპონენტი 2. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.2 ან 3.1 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია, ან ყოველ 6 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 2.2 პუნქტით გათვალისწინებული 1 პუბლიკაცია - **60-80 ქულა**;

კომპონენტი 3. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 1.3 ან 1.4 ან 3.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **50 ქულა**;

კომპონენტი 4. ყოველ 6 წელიწადში ერთხელ მაინც მონაწილეობდეს საგრანტო პროექტში ძირითადი პერსონალის სახით (საგრანტო პროექტებში იგულისხმება ინდივიდუალური გრანტებიც, ასევე სამეცნიერო ინფრასტრუქტურული გრანტები ან სხვა) ან ყოველ წელს სსიპ - შოთა რუსთაველის ეროვნული სამეცნიერო ფონდის საგრანტო კონკურსში მისი ხელმძღვანელობით/მენეჯერობით ან ძირითად პერსონალად მონაწილეობით წარდგენილ საგრანტო პროექტს მიღებული უნდა ჰქონდეს არანაკლებ მაქსიმალური შეფასების 80% (ამ შემთხვევაში იგულისხმება საგრანტო პროექტები ფუნდამენტური კვლევებისათვის, გამოყენებითი კვლევებისათვის, უცხოეთში მოღვაწე თანამემამულეთა მონაწილეობით ერთობლივი კვლევებისათვის და სხვა) - **50 ქულა**;

კომპონენტი 5. ყოველ 4 წელიწადში გამოქვეყნებული, დანართის 4.1 ან 4.2 პუნქტებით გათვალისწინებული რომელიმე 1 პუბლიკაცია - **40 ქულა**;

კომპონენტი 6. ყოველ 4 წელიწადში ერთხელ მაინც მომხსენებლის სტატუსით მონაწილეობდეს სამეცნიერო კონფერენციაში, რომლის მასალებიც ინდექსირებულია Google Scholar-ში - **30 ქულა**;

კომპონენტი 7. ყოველ 3 წელიწადში ერთხელ გამოქვეყნებული პუბლიკაცია ქართულ ენაზე ქართულენოვან სამეცნიერო ჟურნალში - **25 ქულა**;

